№ 58 მარტი 19, პარასკევი — 1893 — მარტი 19, პარასკევი № 58

# ივერია


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს ვენახების, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა, და ბამბის ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება ცალკე განყოფილება ყოველ ზემოხსენებულის სეტყვისაგან დაზღვევისათვის. ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ლიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—7) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი


## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.


## „ცრემლები“
ლექსები
დუტუ მეგრელისა
გამოცემა პეტრე პავლეს ძის გელეიშვილისა.
**ფასი 25 კაპ.**

ისყიდება: „ქართველთა ამხანაგობისა“ და „წერა-კითხვის გამავრც. საზ.-ს მაღაზეებში, აგრედვე ბათუმში, ოზურგეთში, ფოთ'ში, სამტრედიაში, ახალ-სენაკში, ქუთაისში, ზესტაფონში, გორში, განჯაში, ბაქოში, და ყარსში. (3—3)


კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთ სთხოვენ მობრძანდნენ მორიგ კრებაზედ, რომელიც დანიშნულია შაბათს, 20 მარტს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

საგანი კრებისა:

1) მორიგი საქმე.
2) მოხსენება კ. ბორისევიჩისა: გამოკვლევა ზოგიერთა მავნე მწერების შესახებ გორის მაზრაში.

(1—1)

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. სოლომონ დოდაშვილი“, შედგენილი და გამოცემულ ბ-ნ ზ. ჭ—ს მიერ. წიგნში მოთავსებულია საბიოგრაფიო ცნობანი ზემოხსენებულის მოღვაწისა, რომელიც სცხოვრობდა ამ საუკუნის დამდეგს. მან თითქმის პირველმა მიიღო განათლება რუსეთში, შეადგინა ქართული გრამატიკა და დაიწყო ბეჭდვა ტფილისში გაზეთისა 1829 წელს. ამ წიგნშია, სხვათა შორის, მოხსენებული, რომ სოლ. დოდაშვილმა შეადგინა რუსულად „ლოღიკა“, რომელიც სახელ-მძღვანელოდ შემოიღეს რუსეთის სასწავლებლებშიო. წიგნში მცირეოდენი ცნობანია იოანე ბერზე, გვარად ხოლაშვილზედ და ბერ კიკნაძეზე, რომელნიც იყვნენ სოლომონ დოდაშვილის თანამოღვაწენი.

*** გუშინ წინ, 17 მარტს, ჩამოვიდა ტფილისში ახალი რექტორი სასულიერო სემინარიისა არხიმანდრიტი სერაფიმი. წინანდელი რექტორი არხიმანდრიტი ტიხონი ამ დღეებში გაემგზავრება პეტერბურგს.

*** მოგვივიდა აგრედვე მეორე ახალი წიგნი „ცრემლები“, ლექსები დუტუ მეგრელისა, შნოიანად დაბეჭდილი „ქართველთა ამხანაგობის“ სტამბაში ბ-ნ პ. პ. გელეიშვილის მიერ. ეს ლექსთა კრებული 63 გვერდს შეიცავს და ღირს 25 კაპ.

*** გუშინ, 18 მარტს, ქალაქს სამოსწავლო კომიტეტის კრება მოხდა. კრებას უნდა განეხილა მოხსენება საერო სკოლების დირექტორის ბ-ნ დარსკისა, იმის შესახებ, რომ სახელოსნო სასწავლებელში ქართულ სახელმძღვანელოების მაგიერ რუსული სახელმძღვანელოები შემოვიღოთო.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში ამ ჟამად აკეთებენ სარწყავ მანქანას. ეს მანქანა ერთის ფრანგ ინჟინერის მოგონილია, და დაკლაკნილს მილს წარმოადგენს N-ის მსგავსს. შუა ალაგას უფრო განიერია, მილები-კი ვიწრო აქვს. ეს მანქანა უნდა ჩაიდგას წყლის ნაპირას, ერთ-ერთ პირს უნდა დაეცოს და ამ გვარად მეორე პირიდგან 4 საჟენის სიმაღლეზედ ამოჰხეთქავს წყალს და რწყავს მიდამოს. ეს მანქანა სასწავლებლის სახელოსნოში მზადდება და ამ ცოტა ხანში გამოსცდიან კიდეც, რამდენად გამოსადეგი იქნება.

*** თებერვლის განმავალობაში ტფილისის გუბერნიის სხვა-და-სხვა მაზრაში სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ავად ყოფილა შინაური საქონელი: ხარის ყვავილით გორის მაზრაში, დ. ბორჯომს—35 სული, მომკვდარა 1; ქოთაოთი სიღნაღის მაზრაში, სოფ. ახალ-ალექსანდროვკაში—269 სული, მომკვდარა 1; ქ. ტფილისში გაცოფიანებულა 2 ძაღლი.

*** 16 მარტს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების კრებამ გარდასწყვიტა: კავკასიის მკურნალთა პირველ კრების დროს სხვა-და-სხვა ექიმთაგან წარმოდგენილი ხელნაწერთხზულებანი ყველა დაიბეჭდოს და ამისათვის გადაიდოს 800 მანეთიო. ამ კრებაზედვე ამოირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ ვის მიეცეს ჩვეულებრივი წლიური საჩუქარი ფულად საუკეთესო თხზულებისთვის, რომელიც შარშან დაიბეჭდილა სამკურნალო საზოგადოების ჟურნალში.

მკურნალ გოლბეკმა აცნობა კრებას ერთი იშვიათი ამბავი. შარშან იანვარში ერთ თათარს უცებ თოფი გავარდნია, გამსკდარა ჩახმახი და ერთი ნაწილი ყბაში მოჰხვედრია. თერთმეტის თთვის შემდეგ ტფილისის მიხეილის სამკურნალოში დაწოლილა ეს თათარი, რომელიც პირს სრულებით ვერ აღებდა. ექიმს გოლბეკს ორ მკურნალის შემწეობით ოპერაცია გაუკეთებია: ქვემო ყბიდგან ამოუღია რკინა, წონით ერთი მეოთხედი გირვანქისა და სიგრძით 8,5 სანტიმეტრი. ძნელ ოპერაციის გაკეთების უმალ თათარი წ-ვიდა თავის ქვეყანაშიო. საზოგადოდ, თათრები ძლიერ ამტანი და გულადი ხალხია. ერთმა მუცელში დაჭრილმა თათარმა, გადმოშლილი ნაწლევები თვითონ შეილაგა მუცელში და გაიქცაო.

*** ფოსტა-ტელეგრაფის უმაღლესს გამგეობას გარდაუწყვეტია, დ. თიანეთში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების დაარსება. ტფილისიდან თიანეთს ფოსტა ივლის კვირაში ორჯერ: სამშაბათობით და პარასკევობით და თიანეთიდან ტფილისს—კვირაობით და ხუთშაბათობით. ამ ფოსტის დაარსებას მალე შეუდგებიან.

*** ტფილისის ხმოსანთა ამორჩევა ახალის სამოქალაქო დებულების თანხმად დაიწყება მაისის ნახევრიდგან.

*** ეჩმიაძინის მონასტრის წარსულის წლის შემოსავალი, როგორც იუწყება გაზ. „არარატი“, ალემატებოდა 165,869 მანათს. გასავალი-კი 145,743 მან. ამ წლის პირველ იანვარს ნაღდი ფული ყოფილა კასაში 20,126 მან. 66 კაპ.

*** ახალ-სენაკი: როგორც მოგეხსენებათ, აქ არსებობს შემნახველ-გამსესხებელი ბანკი. მარტის 12 ბანკის წევრთა კრება იყო. აღმოჩნდა, რომ ბანკის საქმე წლითი-წლობით თანდა-თან სასურველს წარმატებაში მიდის. როგორც წარსულ წლებში, ეხლაც რამდენიმე ნაწილი მოგებისა გადადებულ იქნა საქველ-მოქმედო საქმის სასარგებლოდ.

გაგვიზაფხულდა თითქმის აქეთ მშვენიერი დღეებია, მაგრამ რად გვინდა, კარში ვერ გამოვსულვართ. სიმინდს ანიავებენ ქუჩებში და ამის გამო სდგას გამუდმებით მტვერი. ჩვენი ოღრო-ჩოღრო ქუჩებიც სავსეა გუბე-ტალახით.

წიგნ-საცავი, დაარსებული აქაურ ნასწავლ ახალ-გაზდობის მიერ, ნელ-ნელა წარმატებაში შედის. წიგნები და გაზეთები საკმაოდ ბევრია, მაგრამ მკითხველნი-კი იმდენად ბევრნი არ არიან.

*** სოფ. ნატოხაო (სენაკის მაზრა): მარტმა ცუდი ამინდები დაიჭირა და სოფლებში გაავრცელა სურდო-ხველა, მჭვალი და სხ. ამას გარდა ერთმა რაღაც ავადმყოფობამ უფრო საქმე გააჭირა; ეს ავადმყოფობა გაძ ეიერებულ სურდოსა ჰგავს.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა): დადგა თუ არა გაზაფხული, ჩვენმა

## ფელეტონი

### სურათები და მოჩვენებანი

### III

ზღვიდამ წამოვა ღრუბელი,
ცას პირზედ დაეფარება;
მთვარესა ნაწყვეტ-ნაწყვეტი
ნისლი გულს ჩაეპარება;
იწყენს, შუბლს შეჰკრავს და ბადრი
მთა-გორებს მოეფარება.
რამდენიც ჩემი თვალ-გული
მსოფლიოს გაეტარება,
იმდენი ჩემკენ მოისწრაფს,
გონებას ჩაებარება;
იქა აქვს იმათ სამეფო,
შემოქმედობა ყოვლისა:
შნო და ჯავარი მეტყველის,
ცხოველთ გვირგვინის მძოვრისა.
მშვიდობა ჰსუფევს, შორს მრჩება
ქლავ-ქლუცი წუთის სოფლისა!
იქ არის ვეშაგ-წყაროსი *)
ნაკადი დაულეველი,
დაღონებულის თვალისა
ყველა რამ შესაქცეველი,
და კაცის გულთან გზაც მიძევს
ბოროტზედ მოუქცეველი.
ერთი სამშობლო ზიარი
მაქვს, და მეორეც—იგია;
რა თვალი იმას მოსწყდება,
ფეხი სრულ ნარზედ მიდგია;
მხოლოდ ბუნებას ვერა ვთმობ,
სხვა ყველა გადამიგდია.
თორემ რას ვამბობ?!. ქლავ-ქლუცმა
სოფლისამ გამომაქცია;
იმის ჭირმა და ვარამმა
ორგულად გადამაქცია;
მე მას დავტირი, იმან-კი
მე ზურგი შემომაქცია!
მაგრამ სხვა-და-სხვაც რამდენი
ცხოვრებას გაუწბილებავ;
რამდენი ნიჭი და მადლი
სიბრიყვეს შეუგინებავ.
მერე და სადმე უპოვნავთ,
დაფნები აღუდგინებავთ?
„დაფნები“! ვიტყვით, თორემა
შიგ ბევრიც არა ყრია-რა:
რად მინდა—სახე მიჩანდეს,
ცა და ქვეყანა-კი არა?
უგრძნობს და უთქმელ-უქმნელსა
აღარა მინდა მე არა!
რაღას რას ვაქნევ ცა-ქვეყნის
ველარ მოვკრეფდე ღალასა,
მეც სხვებთან გადავყოლოდე
ცხოვრების ნაძირალასა?
კაცი ჰპობს, დრო-კი დაჰცინის
ხე და ქვის მათუსალასა.

ბაჩანა

*) ვეშაგ-წყარო—უკვდავების წყარო.

## ყვარლის ციხე და ნურსალ ბეგი

(დასასრული *)

### VI

ქიზიყში ჩასულმა ირაკლიმ გაუსია თარეში ჭარ-ბელაქანსა და მეორე დღესვე გამობრუნდა თელავისაკენ. ველის-ციხეში გაიგო დაწვრილებით დემეტრე თოფჩიბაშის ყვარლის ციხეში შესვლის ამბავი და თათრის ჯარში მომხდარი ალიაქოთი. თელავში თავ-მოყრილ ქართველობას უამბო დემეტრე თოფჩიბაშის თავდადებული ღვაწლი სამშობლოსათვის და მეფისათვის; თან ისრეთის გრძნობათა ამშლელის სიტყვებით მიჰმართა, რომ უმალ გამოვიდა სახელოვანი იასე მღვდელი (მაჭავარიანი[1]) და თან გამოჰყვნენ ოც-და-ათი საუკეთესო ვაჟკაცნი თავად-აზნაურნი, პაპა ბებურიშვილის და რევაზ ამილახვრის წინამძღოლობით და იქვე გაიფიცნენ ყვარლის ციხეში შესასვლე-

(* იხ. „ივერია“ № 57.

[1]) იასე მღვდელი იყო მამა ღერვასი სამთავნეს ეპისკოპოზისა და ათანასი ნიქოზელისა, ამილახვარის აზნაურთაგანი ს. საკორინთლოდამ. იყო დიდი საქებური ვაჟკაცი და, განუყრელად ირაკლისთან მყოფი, მის მხარ და მხარ ომობდა—აზატ-ხანთან, განჯის ომში, მჭადის-ჯვრის ომში და სხ. ესრეთის ვაჟკაცობისათვის მეფე ირაკლიმ უბოძა იასე მღვდელს თავადის სვიმონის შვილის ბეითალმანი მამული 1764 წ, იხილე დაწვრილებით Дворян. грам. Пурцелад. 21 გვ. ს. საკორინთლოში მაჭავარიანის გვარი ამოწყდა და მისი ბეითალმანი მამული იასე ამილახვარმა 1815 წ. უბოძა პეტრე მგალობელს (კარბელას) და მის ძმას გაბრიელ მღვდელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯვირი კოჩებმა“—ქურდებმაც დაიწყეს თავიანთი საქმე. თუ სადმე შემოდგომაზე დარჩათ რამ მოუპარავი, მიჰყვეს ხელი და ეხლა იპარავენ, უფრო ცხენებს. ამ მოკლე დროში ჩვენს მღვდელს გიორგი გვაზავას მოჰპარეს ერთი ცხენი.

ჩვენდა სამწუხაროდ, სიმინდის ფასი ძლიერ დაწეულია და, არ ვიცით, რა გვეშველება, მერე ამ ბედნიერ დღეებში.

*** ს. წინამძღვარიანთ კარიდგან სწერენ „Нов. Обозр.“, რომ ჭოპორტს, კაკაროს და სხვა სოფლებში ყელ-ჭირვება მძვინვარებს და ბევრი ყმაწვილი იმსხვერპლა. თვით სასწავლებლის პანსიონშიაც გაჩნდა ეს სენი. საპედაგოგო კრებამ ერთხმად გადასწყვიტა, დროებით შესწყდეს სკოლაში სწავლა და ავათმყოფები ცალკე ოთახში დააწვინონ, რომ სხვებსაც არ გადაედოსო.

*** ბათუმიდგან სწერენ იმავე გაზეთს, რომ ვაჭარ ავგერინოს სამტრედიაში გამცარცველი მეორე დღესვე შეიპყრესო. დამნაშავედ აღმოჩნდა თავ. ს. დ. ერისთავი, ოზურგეთის მცხოვრები, რომელიც იმავე დღეს ქუთაისის საპატიმროში გაისტუმრეს.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ახალ ამბებში სწერია: წავიდნენ პალესტინას ქართლ-კახეთიდამაო, უნდა იყოს: ტფილისის გუბერნიიდამ.

## ორიოდე სიტყვა ქართულ გალობა-სიმღერისა და მუსიკის შესახებ.

სიამოვნებასა და სიხარულსა ჰგრძნობს კაცი, როცა ჰხედავს, რომ განათლების საქმე კარგად მიდის მის ქვეყანაში. თუმცა ხშირად ვკითხულობთ გაზეთში, რომ ქართველები არაფერს აკეთებენო, მაგრამ ესეც არ არის მართალი. შეჰხედეთ, მაგალითად, ამ მოკლე დროში რამდენმა კარგმა საქმემ იჩინა თავი და რამდენი აპირებს კიდევ თავის ჩენას. სასიამოვნოა იმათი დასახელება: წერა-კითხვის გავრცელება, ლიტერატურის წარმატება, ბანკების წარმოება, თეატრი, გაზეთები, მეურნეობა, ძველთა და ახალთა წიგნთა ბეჭდვა, ამხანაგობის შემწეობით სახლების აშენება, რკინის გზის გაკეთება, წიგნთსაცავების დაწესება და სხვ. მადლობის ღირსნი არიან ამ დიდის საქმეებისათვის მშრომელნი და მოღვაწენი. სასურველია მხოლოდ, რომ მეტი ძალა და ღონე მისცეს გარემოებამ ამ მოღვაწეებს, რათა დაწყობილი საქმენი მეტის მხნეობითა და მეტის წარმატებით აწარმოვონ. ვინ არ ისურვებს, რომ ტკბილსა და სასიამოვნო გართობაში შეასვენოს ამისთანა ხალხი დროსა დაღლილობისასა და უიმედო-უნუგეშობისასა, რაიცა ასე ხშირია საზოგადო მოღვაწეობაში. რასაკვირველია, ტკბილი და სასიამოვნო გართობა ათას ნაირია, მაგრამ მე ისეთის გართობისა და შექცევის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომელიც სულისა და გულის დამამშვიდებელია, შრომისაგან დაღლილობის გამქარვებელი, მხნეობისა და მამულის სიყვარულის ჩამგონებელი, მოყვასთა შორის უსიამოვნობის გამქარწყლებელი, სიყვარულის აღმძვრელი, ხალხის ხასიათის გამომხატველი, წარსულის მომაგონებელი. აი ყოველისავე ამის შემძლებელია მუსიკა და გალობა-სიმღერა. აი ესეთი სასიამოვნო გართობა მიმაჩნია კერძოდ სანატრელად ჩვენის საზოგადოებისათვის. ჩემი ხელობა სწორედ ეს მუსიკა და სიმღერა-გალობაა და ამიტომ ვსცდილობ ამ საქმის ფეხზე დაყენებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთს საქმეს ბევრი რამ აფერხებს და აბრკოლებს. ეს არის მიზეზი, რომ დღეს ბევრი ამბობს, ჩვენი ქართველთა მუსიკა ძილშია, ფეხ-აუდგმელიაო. ძილში-კი არ არის, მაგრამ სიბნელეში-კი გახლავთ. ძილში არ არის, ამისათვის რომ იწერება, გროვდება, მზადდება. სიბნელეშია იმისათვის, რომ ვერ უჩენია თავი საზოგადოებაში. მე, როგორც დამწყები ჩვენის გალობა-სიმღერის მუსიკაზე გადაღებისა, რამდენჯერმე ვეცადე, რომ ჩვენის მუსიკისა და გალობა-სიმღერის საქმე კარგს ნიადაგზე დამდგარიყო და თანამგრძნობელნიც გამოუჩნდნენ საქმეს. აი რა სახით ვფიქრობ მე ჩემის ჭკუით, წარმატებას: ჯერ-ჯერობით უნდა თავი იჩინოს იმ სიმღერებმა, რომელიც უკვე მომზადებული მაქვს და შემოსილიც მუსიკის სამოსლით, ხორული და იერიშები ორკესტრით, ჯერ სიმფონიურად და მერე ერთად, ხორით და ორკესტრით, შემდეგ ამისა ხორისტ-მომღერლებით, ფორტე-პიანოს შეწყობით ტრიო, დუეტები და რომანსები. ტრიო „ბედი ქართლისა“, საოხუნჯო დუეტი „სიყვარული“, დარბაისლური დუეტი „იჯდა წყლის პირსა ყმაწვილი ქალი“. რომანსები: „დრონი“, „მინდორი“ „თარი“ „საყვარელსა განმაშორა სოფელმა“, „სალამური“ და სხვანი. ეს სერია სიმღერათა, ჩემის აზრით, მცირედ არ ასიამოვნებს საზოგადოებას. სიმღერები უნდა ითქვას, რასაკვირველია, ხორისა, ორკესტრისა და სოლისტ-მომღერლების შემწეობით. შეიძლება აგრეთვე დაიბეჭდოს ეს პიესები ქართულად, რუსულად და იტალიურად. არ იქნება ურიგო დაიბეჭდოს ჩემ მიერ შედგენილი ქართულად ნოტების და გალობის სწავლის სახელმძღვანელოც, შემდეგ უნდა მიექცეს ყურადღება ჩვენის მდიდარის, მრავალ კილოვანის სიმღერების შეგროვებასა და შემუშავებას. ყოველსავე ამას თაოსნობა უნდა, ორგანიზაცია. უნდა შესდგეს ცალკე წრე, ამხანაგობა, გინა საზოგადოება, რომელმაც იტვირთოს ყოველივე საქმე მუსიკისა და გალობა-სიმღერისა ჩვენში. საზოგადოებამ—უნდა იზრუნოს, რომ ღონისძიება შეიძინოს და თანდათან გაადიდოს, განავითაროს დასი ხორისა და სოლისტ-მომღერლებისა. მერე ადვილად გაჩნდება სხვა-და-სხვა სცენები, მუსიკით შემკობილი; იმას მოჰყვება ოპერა და ამ ნაირად, კარგ მეთაურთა და საქმის გამძღოლთა შემწეობით, საქმე ჩვენის მუსიკისა და გალობა-სიმღერისა მტკიცე საფუძველზედ დამყარდება.

ყოველ ამას გარდა, არ იქნება ურიგო, რომ ამისთანა საზოგადოებამ გამოიკვლიოს და გადაიღოს ევროპიულს ნოტებზე ის ძველი ქართული ნოტები, რომელთა შემწეობითაც გალობდნენ ჩვენი წინაპარნი. ეს ნიშნები, ანუ ნოტები, ამას წინად განვმარტე მოკლედ შევადარე ევროპიულს ნოტებს და მოვიხსენე „ივერიაში“.

რაც შეეხება იმას, რომ მსურველნი მუსიკისა და სიმღერა-გალობის სწავლისა ბევრნი აღმოჩნდებიან, ეს ეჭვს გარეშეა. ეხლაც ბლომად არიან ახალგაზდანი, რომელთაც უნდა ისწავლონ და გაიცნონ თავიანთ ქვეყნის ნოტებად დაწყობილი სიმღერები და ემსახურონ ამ სასარგებლო საქმეს.

ერთის სიტყვით, თუ სურვილი და მონდომა იქნება, საქმეს ბევრი ალა-რა დაუშლის-რა ფეხის ადგმას და ნელ-ნელა წარმატებას. უფულობამ, ღონისძიების უქონლობამ პირველში არ უნდა შეგვაშინოს, კარგს საქმეს, სასარგებლოს თვით შეუძლიან მიიზიდოს ფულიცა და თავისი თავი თვითვე ჰკვებოს და ასაზრდოვოს.

ფილიმონ ქორიძე

## ხმა კავკავიდამ

(წერილი რედაქციის მიმართ)

წარსულ წლის „ივერიის“ № 267-ში წავიკითხე, რომ კავკავს თორმეტი ცალი ქართული გაზეთი „ივერია“ იგზავნებაო. თუმცა აქაურ ქართველების რიცხვთან შედარებით თორმეტი ნომერი გვეცოტავა, მაგრამ, როცა გამოვიკვლიეთ გაზეთის დამბარებელთ ვინაობა, აღმოჩნდა, რომ „ივერიას“ აქ სომხობა უფრო იბარებს, ვიდრე ქართველობა და სხვა ქართული გაზეთის ხსენება აქ ხომ სულ არაა.

კავკავში ორი კლუბი არსებობს—სააზნაურო და საკომერციო, სადაც, გარდა ბანქოს მოთამაშეებისა, სამკითხველო ოთახში ნახამთ ჟურნალ-გაზეთების ბევრს მკითხველებსაც. მიუხედავად ამისა, რომ ორსავე კლუბში ქართველ წევრთა რიცხვი საკმაოზედ მეტია,—დიოგენის ფანრითაც რომ ეძებოთ, ვერც ერთს ნომერს ვერ იპოვით ქართულ ჟურნალ-გაზეთისას და ვერც ქართულ წიგნს.

ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიიდამ დავიბარე 30 მანეთის წიგნი საკომისიოდ გასასყიდლად იმ აზრით, რომ აქ ცოტა ბაზარი მოეპოვა ქართულ წიგნებს და ჩვენს ღარიბ წიგნების გამომცემელთაც ცოტა სარფა ჰქონოდათ; ოთხ თვეში მხოლოდ ძლივს გაისყიდა ცხრა მანეთის წიგნი და ამისიც მხოლოდ კალენდრები გაიყიდა მარტო. „მოლა მასრადინას ამბებს“, რომელიც სხვაგან გამოსვლის უმალ დაიტაცეს, აქ ხელიც არავინ მოჰკიდა და ვინც ყიდვა მოისურვა, ხუთშაურის ადგილას, სამ შაურს იძლეოდა და სხ.

აქედგან ცხადად სჩანს, ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ აქ ქართველობა არ მისდევს, როგორც სასურველია, თავის სამშობლო ენის, ლიტერატურის და ისტორიის შესწავლას; ამის გამო, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც რომ ქართულ ენას, ჩვენდა სამარცხვინოდ, აქაურ ქართველებში სავარჯიშო მოედანი არა აქვს: აქ ვერ გაიგონებთ ცოცხალ ლაპარაკს, დარბაისლურ წმინდა ქართულ საუბარს, ერთის სიტყვით—სამშობლო ენა, ეს უმდიდრესი საღარო, რომელშიაც მრავალ თაობა ძვირფას განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი, აქაურ ქართველებისაგან უპატივდებულოა. აქ ვერ გაიგონებთ პოეტის სიტყვებს:

„ენით ვცოცხალვარ, მით მიყვარს სმენა,
მიყვარს სამშობლო მე დედა ენა“.

სამაგიეროდ მეორე უკვდავ პოეტის სიტყვების განხორციელებას:

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“,

უფრო ვხედავთ—ამ ჟამად.

რადგან ერთის მხრით მოვალედ ვთვლიდი ჩემს თავს მიმექცია ყურადღება ამ გარემოებისათვის, პირველად საჭიროდ დავინახე რამდენიმე ქართული წიგნი შემეგროვებინა და პატარა წიგნთ-საცავი დამეარსებინა, საიდანაც უსასყიდლოდ შესძლებოდათ ქართულ წიგნების წაღება და კითხვა, როგორც აქაურ სხვა-და-სხვა სასწავლებელში მოსწავლე ქართველთ, ისე ყველა მსურველთაც. ამ ჟამად კავკავის ქართულ სკოლაში წიგნების სიმცირემ გვაიძულა ხელის მოწერა გაგვემართა, რომლითაც უკვე შეგროვდა 6 მანათი. ეს ფული გავუგზავნეთ ჩვენს პატივცემულს პედაგოგს ი. ს. გოგებაშვილს და ვსთხოვეთ ქართულ წიგნების არჩევა და გამოგზავნა.

ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც ფულისა თუ წიგნების შემოწირვით და ჟურნალ-გაზეთების უსასყიდლოდ გამოგზავნით დახმარება და შემწეობა აღმოგვიჩინეს—სამშობლო ენის, ლიტერატურის და ისტორიის ცოდნის გავრცელების საქმეში აქაურ ქართველთ შორის.

ფული შემოსწირეს: იოსებ გრიგოლის ძე შვილევმა—5 მან. სამ-სამ მანეთი შემოსწირეს: დავით ჩხიკვაძემ, ნ. ბალანჩივაძემ, მ. კალანდარიშვილმა, ტ. კახიძემ, ი. ჩითაევმა, ლ. ხარაძემ, ლოლაძემ, ნ. მაჭავარიანმა, ლ. ბ—ძემ, დ. ფონ-ზებედევმა, ნ. გამრეკელმა, ალ. სარაჯოვმა და ბ. ევანგულოვმა. ორ-ორი მანეთი შემოსწირეს: კ. გვარამაძემ, გ. ბურდულმა, პ. მეფურნიშვილმა, გიორგი ბესარიონის ძე ბარათაშვილმა, დარო თანდილას ასულმა ბარათაშვილისამ . თითო

---

ლად ტყვია-წამლით. ირაკლიმ ისარგებლა ესრეთის ქართველთა თავ-გამოდებით და გასწია ისევ ქიზიყისაკენ; გათენებისას იმ ოც-და-ათი ვაჟკაცით მივიდა ბოდბეს წმ. ნინოს მონასტერში, იოანე ბოდბელთან (ჯორჯაძე). მეორე დილით აქ შეკრებილ ქიზიყელებს განუმარტა სამშობლოს საშიშარი ყოფა, თუ თათრები ყვარლის ციხეს აიღებდნენ და გაიმარჯვებდნენ. აცნობა გაფიცვა ოც-და-ათის ვაჟკაცისა და სთხოვა წაებაძათ ამა მაგალითისათვის.

— მომყევით, ქიზიყელნო! მე წინ მიგიძღვებით ჯვარითა და ხმლითაო, შესძახა იასე მღვდელმა. ამ სიტყვების თქმა იყო და ას ოც-და ხუთი რჩეული ქიზიყელი გამოვიდა კიდეც; მიემატნენ იქვე მყოფ ოც-და-ათს გაფიცულ თავად-აზნაურს და გაუდგნენ გზასა. წასვლისას ბოდბელმა იოანემ პარაკლისი უხადა წმ. ნინოს საფლავზედ და გზა დაულოცა.

მეორე დღეს (სექტემბრის 3) შუადღისას პაპა ბებურიშვილი (ვაჩნაძე) რაზმს აწყობდა გავაზში. ასე რაზმ დაწყობით მივიდა ეს ერთი მუჭა ქართველობა ჭარ-ბელაქნელთა სანგალზედ მზიურ, დასცეს ღვთის რისხვა, მილეწ-მოლეწეს, რაც-კი რამ წინ დახვდათ, იჯერეს გული მტრის სისხლით და გულ და გულ შევიდნენ ციხეში. იასე მღვდელი შესვლას არ ეჩქარებოდა—ჯერ ერთი კარგა ვეეჟოთ ეს ურჯულონიო! დაჰკიჟინებდა თავის სულიერ შვილებსა. კაბა შემოკალთვილი მარჯვნივ-მარცხნივ ისე ჰკაფავდა მტერსა, როგორც მესვეური ყანასა. მხარ და მხარ მისდევდა პაპა ბებურიშვილი—დაჰკა, იასე მღვდელოვო, უკიჟინებდა სიცილით...

### VII

ნურსალ-ბეგის ბანაკს შიშის ზარი დაეცა. „შუადღის ას-ორმოცი კაცი შეგვივიდა ციხეში და რაღას დავაკლებთო! ირაკლი ხანი რომ მოსულიყო რაღას გვიზამდაო?“ გაიძახოდნენ ყველგან. ამასობაში ჭარ ბერაქნელთ მოუვიდათ ამბავი: „ირაკლი ხანმა რამდენიმე თარეში ზედი-ზედ გაუსია ჭარ-ბელაქანს და მთლად აიკლოვო“. ამის გამო ჭარ-ბელაქნელთ გაიწიეს შინ წასასვლელად, მაგრამ ნურსალ-ბეგი წინააღუდგა და არ გაუშვა; მოუხდათ ამასობაში კინკლაობა და კინაღამ ერთმანეთი არ ამოწყვიტეს. წავიდნენ ჭარ-ბელაქნელნი, ალარც კაკის სულთანი და ჰაჯი-ჩალაბის შვილი აღაჭიში დადგნენ. აირია მთელი ბანაკი ნურსალ-ბეგისა და დაიშალა. ნურსალ-ბეგიც აიყარა ლვინობისთვის დამდეგს, გადავიდა უკანამხარს და აიკლო საგარეჯო (მანავი, თოხლიური, ჩაილური და სხ. სოფლები ციხეებში და მთებში იყვნენ გამაგრებულნი), გავიდა დემურჩასალოს პირდაპირ მტკვარში, გაჰყო თვისი ჯარი ხუთად და აქეთ-იქით გაუსია თათრის ელების და სომხეთის ასაკლებად.

ესე ჩაიარა ჭექა-ქუხილით დაწყებულმა გამოხედრებამ ნურსალ-ბეგისამ ირაკლის დასამხობად და აზრიც გაუტყდა მთელს დაღისტანში. „ერთს თვეს ყვარლის ციხე ვერ აიღოვო და ირაკლი ხანს აბა როგორ ემძლებაო“, დასცინოდნენ თურმე ლეკნი. აქაც ისევ მცბიერმა ჰაჯი ჩალაბმა მოიგო: რა-კი ნურსალ-ბეგს სახელი გაუტყდა დაღისტნელთა შორის, ჰაჯი-ჩალაბის სახელს მოცილე აღარა ჰყავნდა და ყველანი ჰმორჩილებდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ნურსალ-ბეგის ორჯელ გალაშქრება ირაკლის წინააღმდეგ (მჭადისჯვარში და ყვარელში) თავიდამ ბოლომდე ჰაჯი-ჩალაბის ოსტატობა იყო. ირაკლი დამარცხდებოდა, თუ ნურსალ-ბეგი—ორივე შემთხვევაში ჰაჯი-ჩალაბი არასა ჰკარგავდა სახელის გავარდნის მეტსა.

ირაკლიმ მეფურად დააჯილდოვა ყვარლის ციხის გმირნი—თავად-აზნაურნი და გლეხნი. ზაქარია ყანდიაშვილის შთამომავლობას თურმე აზატობის წყალობა უყო, მაგრამ იგი წყალობა ირაკლის თან ჩაჰყოლია საფლავში და გმირი ყანდიაშვილის შთამომავლობა (სს. ზიარში და გურჯაანში) სხვებთან ერთად იხრაკებიან უმადურ შრომის ტაფაში! „დავნოსტი (ვ-და) გასვლია თქვენს ქ ლალდებსაო“, ასე თურმე უთხრეს „ერის მეგობრებმა“, რომელთანაც და სადაც-კი წარადგინეს იგი აზატობის წყალობა.

პ. ცხვილოელი.

20 თებერვალი 1893 წ.

მანეთი შემოსწირეს: სოფიო გიორგის ასულმა აბაევისამ, მარიამ ფხაკამისამ, მიხაილ ღუდუშაურმა. №-მა, ალ. ფარადოვმა, ი. მრევლიშვილმა, ილიამ 40 კაპ. და №—60 კაპ.

წიგნები შემოსწირეს დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ—20 ცალი პატარ-პატარა ბროშურები ქართულს ენაზედ, თავის გამოცემა. დ. ჭავჭავაძემ მხედრული დავთნი. ნ. ლოლაძემ: 1) მხედრული სახარება და სამოციქულო, გამოცემული ბრიტანიის საზოგადოებისაგან. 2) А. Шопенгауеръ 3) Тэкерей. 4) Гальванопластика С. Глаголева. 5) Правильное пчеловодство—Бутлерова და 6) Исторія XVIII ст. Ф. К. Шлоссера томъ III. დარო ბაქრაძის ასულმა—რუსული ჟურნალი „Родина“-ს და „Нива“-ს დამატება 1892 წლისა. სულ 11 წიგნი. ბ-ნმა ილურიძემ—ქართული ქრისტომატია ნაწ. 1, დ. ჩუბინაშვილისა და არითმეტიკული გამოცანები რ. ჯაჯანაშვილისა. პ. მეფურნიშვილმა—12 ცალი სხვა-და-სხვა პირველ დაწყებითი სახელმძღვანელოები რუსულ ენაზედ. ბ-ნი ალ. სარაჯიშვილი დაგვპირდა საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის“ ძველ ნომრებს.

უსასყიდლოდ გვიგზავნიან—„ივერიას“, „კვალს“, „ჯეჯილს“, „მეურნეს“, „მწყემს“, „Пастырь“-ს და „Новое обозрѣніе-ს. ვიმედოვნებთ, რომ სხვებიც არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს ამ საზოგადო საქველმოქმედო საქმეში და შეძლებისა და გვარად მოგვაწვდენენ ქართულ წიგნებს, რომლითაც შეძლებას მისცემენ ღარიბ სკოლას, რომ ღირსეულად ასრულებდეს თავის დანიშნულებას განათლების გავრცელების საქმეში.

კავკავის ქართულის სკოლის მასწავლებელი
ლ. ბოცვაძე

14 მარტი, 1893 წ.
ქ. კავკავი.

## შხამი და ადამიანის გრძნობა-გონება.

პეტერბურგის ექიმთა კრების დარბაზში 5 მარტს ბ-ნმა დანილომ წაიკითხა ლექცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედობს სხვა-და-სხვა შხამი ადამიანის ტვინზე და მოშხამლულს როგორ ეცვლება გრძნობა-გონება.

საღს კაცს ორ-ნაირი ნიჭი აქვს ჭკუა-გონების სავარჯიშებლად: ერთი—მოაზრება, მოფიქრება, საგნის გარჩევა, გამოკვლევა; ხოლო მეორე—თვით ტვინის მოქმედება, ადამიანის ნება-სურვილზედ დამოუკიდებელი, როცა ადამიანი არა ჰფიქრობს რომელსამე საგანზედ, მაგრამ მისი ტვინი თავისთავად მუშაობს და გარეშე საგნები, ადამიანისაგან უყურადღებოდ მიტოვებულნი, მაინც აღიბეჭდებიან ადამიანის ტვინში. როდესაც ეს ორივე ნიჭი გარმონიულად დაკავშირებულია, მაშინ კაცს სრული წარმოდგენა აქვს დროსა და სივრცეზედ და ამ ნიჭის პატრონ საღის ჭკუის კაცს ვუწოდებთ.

შხამი ამ გარმონიას არღვევს და ერთ-ერთს აღნიშნულ ნიჭთაგანს აუძლურებს.

ლექტორმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია სამ-ნაირ შხამს: სპირტს, თრიაქსა და ხაშიშს. კაცობრიობა დიდი ხანია ეტანება სხვა-და-სხვა ტვინის აღმძვრელ, განმაღვიძებელ საშვალებას, რომელიც ამავე დროს ჭკუის ამშლელი და დამახშობელიც არის. ამ ცუდ მოთხოვნილებამ და ჩვეულებამ თითქმის მთელი კაცობრიობა შეიპყრო. ევროპა, ამერიკა და ავსტრალია თავს იწამლავს სპირტით; აზიაში ჩინეთ-იაპონია—თრიაქით, ინდოეთი და მცირე აზია—ხაშიშით, კამჩატკის მცხოვრები—შხამა სოკოზე დაყენებულ სასმლით, და სხვა.

ხშირად ამ საწამლავების მიღებას ცუდი შედეგი აქვს და აი როგორ მოქმედობს ადამიანის გრძნობა-გონებაზე:

სპირტი თუ ცოტა მიიღო ადამიანმა, ჯერ ჭკუას აღვიძებს, სწრაფლ ამოქმედებს, მეხსიერებას იწვევს და ამაგრებს, მკლავებში ღონეს უმატებს, და დრო-სივრცის წარმოდგენას თითქმის არას აკლებს. ხოლო, რაც უფრო მეტს დალევს კაცი სპირტსა, იმდენად ჭკუასაც ძალა ელევა, დრო-სივრცის წარმოდგენა სუსტდება, წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთში ერევა და ვერ გაურჩევია, რომელი საგანი შორს არის ანუ ახლო. მაშინ ადამიანს მოუსვენარობა ეტყობა და შფოთვა დაემართება, თითქო რაღაც მაწვება და მტანჯავსო. რაც მეტს დალევს კაცი, იმდენად უფრო ტანჯვა ემატება და ბოლოს გონება სულ დაეხშობა. შესანიშნავი აქ ის არის, რომ კაცს თავის თავი ვეღარ უცვნია და ვიღაც სხვა ჰგონია, რის გარჩევაც არ შეუძლიან. მთვრალ კაცსა ჰგონია, სრულს ჭკუაზე ვარ და ისე ვმოქმედობო. ნამდვილად-კი თავის ლაპარაკისა და მოქმედებისა აღარა ესმის-რა. როცა გამოფხიზლდება, სრულიად აღარ ახსოვს, რას ამბობდა ანუ აკეთებდა. ამისთანა მდგომარეობას მეცნიერნი „ტრანსს“ უწოდებენ. ტრანსსის მაგალითი მრავალია: ქ. ჩიტას პოლიცმეისტერმა ორი ტუსაღი ჩამოარჩობინა; ერთმა ყაზახმა მედუქნის ბავშვს დაავლო ხელი და კედელს ისე დააჯახა, რომ საწყალს თავი გაუნარცხა; ერთა ახალგაზდამ სახლს ცეცხლი წაუკიდა და სხვა. როცა ესენი გამოფხიზლდნენ, აღარ ახსოვდათ, ტრანსსის დროს რას ჩადიოდნენ და დიდათა სწუხდნენ. ამ ფსიხოლოგიურ მოვლენას ეხლა იურისტებმაც მიაქციეს ყურადღება და იმის გამოკვლევას შეუდგნენ, უნდა დაისაჯოს გრძნობა დაკარგული, უნებლიედ ცუდის საქმის ჩამდენი კაცი თუ არა.

თრიაქი, ბანგი, ანუ ხაშხაში ადამიანის ხსოვნა-მეხსიერებაზე ძალიან მოქმედობს. ცოტა რომ მიიღოს კაცმა, მაშინ მოაგონდება ყოველივე, რაც-კა დიდის ხნით მივიწყებული ქონდა. ზოგმა მეცნიერმა თავის თავზედ გამოსცადა თრიაქის ძალა და ერთხმად ამბობენ, რომ ჩვენი ბავშვობა და სიყმაწვილე სოცარ დაწვრილებით გაგვითვალისწინდაო. ხოლო დროსა და სივრცის წარმოდგენა იცვლება: დიდი მანძილი პატარად ეჩვენება კაცს და დრო-ჟამი აწმყო წუთად. მკლავ-მუხლში-კი ძალა ემატება. აზიაში, როდესაც დიდი მანძილი უნდა გაიირონ, ან მაღალი მთა გადავლონ, ცხენს ცოტა თრიაქს აჭმევენ ხოლმე, რომ უფრო შესძლოსო. მცირედ მიღებული თრიაქი აალელვებს ადამიანს, აღძრავს მოქმედების სურვილს, ხოლო თვით მოქმედება ჩქარი ვეღარ არის, თანდათან სუსტდება. რაც უფრო ბევრს მიიღებს კაცი თრიაქს, უფრო მისუსტდება, სული ეტანჯება და ბოლოს სულ მოუძლურდება. თრიაქმა ძალიან მიჩვევა იცის და თუ კაცი მიეჩვია, თავს ვეღარ იხსნის. ყველა თრიაქს მიჩვეული ავადმყოფია, გამხდარი და მილეული. ამისთანა კაცი, თუ თრიაქი შემოაკლდა, თავს გასწირავს, ავაზაკობასაც-კი ჩაიდენს, ოღონდ თრიაქი ვიშოვნო როგორმეო. საშინელია თრიაქით მოწამლული კაცი.

ხაშიში ერთ-გვარ ინდოეთის კანაფის კეთილ-სულოვან ყვავილების წვენია, ფისი. მცირედი ხაშიში გონებას აღძრავს, აათამაშებს და კაცს სხვა-და-სხვა სასიამოვნო სანახავს მოაჩვენებს; ათასი რამ წარმოუდგება კაცს და სწრაფლ ერთი მეორით შეეცვლება, ერთი მეორეზედ უკეთესით. ერთი მეცნიერი ამბობს, რომ მაჰამეთს ანგელოზის ფრთები-კი არ გამოესხა, როცა მეშვიდე ცას აფრინდა, არამედ ხაშიშმა შეასხა ფრთებიო. ხაშიშით დამთვრალი კაცი კარგს გუნებაზეა, ღონე ემატება, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. შემდეგ-კი, ხაშიშს რომ ძალა გამოელევა, მფრინავი კაცი თანდათან დედამიწაზე დაეშვება, ტანში მოიშლება და სულით იტანჯება. ხაშიშით დამთვრალს თავის წარსული ცხადად გამოეხატება თვალ-წინ. ხოლო დრო-სივრცის წარმოდგენა უმოკლდება: წუთი დღედ მიაჩნია და გოჯი—ადლად. ლექტორმა თვით გამოსცადა ხაშიშის მოქმედება. ვითომ სულ სადღაც მაღლა მიდიოდა და ნამდვილად-კი მეორე სართულამდის ძლივს ასულა. პატარა ხიდი რავდენიმე ვერსი ჰგონებოდა. ამ დროს ისე მოღალვია გონება, რომ მეორე დღეს მცირე რამეც ვეღარ უანგარიშნია.

თრიაქით 300,000,000 კაცი იწამლავს თავსა, ხაშიშით—ამდენივე. ევროპაში და ამერიკაში ავ საქმის მომქმედთა შორის ნახევარი სპირტის, ალკოგოლის, მსმელი ყოფილა; სულით ავადმყოფთა შორის ხომ ნახევარზე მეტი სასმელების მიმდევარია. ალკოგოლი, რომელიც ყოველ მაგარ სასმელში ცოტად თუ ბევრად მოიპოვება, მავნებელია თვითეულ კაცისათვის, ოჯახისთვის და საზოგადოებისთვისაც. სიმთვრალეს მიჩვეულ ადამიანის გამობრუნება მეტად ძნელია და ვისაც სურს ეს მავნებელი ჩვეულება მოსპოს, სხვა ნაირად უნდა შეუწყოს ხელი: სასმელს ნელ-ნელა უკლოს და ამავე დროს სასიამოვნო გასართობი რამ აუჩინოს, რადგანაც აღელვებას, ცეცხლის შეკეთებას მიჩვეული ტვინი მალე ვერ დაწყნარდება და თავის დონეზე ვერ დავა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პარიჟის გაზეთ Petit Journal-ში დაბეჭდილია:

ჩვენ რედაქციას ამ დღეებში თხუთმეტი კავკასიელი ეწვია. ყველანი საუკეთესო და თამამი მხედარნი არიან. ეს კავკასიელები ჩიკაგოს მიემგზავრებიან ბ-ნ ერკოლის მეთაურობით. ჩიკაგოს გამოფენაზედ სხვათა შორის დიდი გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სიცფრანგეთის კავალერისტები, გერმანელი ულანები, ინგლისელები, ამერიკის ინდიელნი და ეს კავკასიელნიც. კავკასიელ მხედართა მეთაური, ბ-ნი ერკოლი გამოცდილი კაცია და დარწმუნებულია, ჩემი დასი გაიმარჯვებს დოღშიო. ცხენები უკვე გაუგზავნიათ გემით ამერიკაში. დასს მეთაურობს თ. ქეისთავი (ერისთავი თუ იქნება). მეთაური დასისა არაფრით განირჩევა თავის ამხანაგებისაგან: შავი ტყავის ქუდი ჰხურავს, ნაბადი (manteau), წითელი თანთსაცმელი (costume) აცვია, მასრებით; შეიარაღებულია გძელ დამბაჩებით და ხმლითა, ხმლის ტარი ჩუქურთმიანი, ქარქაში შავი ტყავისაა.

ყველანი სამეგრელოსა და საქართველოს (?) მკვიდრნი არიან და ბევრჯელ მიუღიათ მონაწილეობა მტერთან ბრძოლაში და ყველანი რუსეთის ჯარში ყოფილან, თუმცა იმ ერის ენა სრულებით არ იციან, რომელსაც ემსახურებიან.

საკვირველს სურათს წარმოადგენენ ეს მეომარნი: სახე ერთსა და იმავე დროს მკაცრიცა აქვთ და წყნარიც; შავი, ჭკვიანი თვალები და შავი, გძელი წვერი რაღაც უცნაურ ელფერსა სდებს მათ სახეს... სთქვეს თავიანთი სიმღერა, რომელსაც რაღაც უცნაური მელოდია ჰქონია. თუმცა სიმღერა წყნარი იყო, მაგრამ შიგა-და-შიგ საშინლად გაჰკიოდნენ...

ამ სიმღერის გაგონებამ საკმარისია თვალები დახუჭოს და იმ წამსვე წარმოუდგება აზიის ხრიოკი ველი და მათ შორის ბრბო მეომართა, რომლებიც თავიანთ ღმერთებს ლოცულობენ და სისხლის დასაღვრელად ემზადებიან.

შესთხზა რა აღფრთოვანებულ ფანტაზიით ეს საოცარი სურათი, გაზეთი Petit Journal-ი დასძენს:

რა რიგ განსხვავდებიან ჩვენს განათლებულ ერისაგან ეს ბარბაროსები აზიისა, რომლებიც ამპარტავნობენ თავის ახოვანის ტანით, იარაღის სილამაზით და იმავე დროს ბავშვებსავით უხარიანთ, როცა შამპანიის ღვინით სავსე ბოთლები იხსნება!..

## დეპეშა

17 მარტი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრინა ქსენია, დიდი მთავრინა ოლგა და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე გუშინ $4^1/_2$ საათზედ სამხრეთ რუსეთისკენ გაემგზავრნენ.

**პარიჟი.** გამომძიებელმა კომისიამ ჩვენება ჩამოართვა დეპუტატს დელაგეს. დელაგემ უარი განაცხადა, იმ კაცს არ დავასახელებ, რომელმაც დამნაშავეთა სია გადმომცაო. შემდეგ კომისიამ ჩვენება ჩამოართვა ანდრიეს, რომელმაც სთქვა, ჩემ მიერ წინად ნათქვამ სიტყვებს ვეღარას დაუმატებო.

18 მარტი

**პეტერბურგი.** იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა და წარუდგინა სახელმწიფო საბჭოს პროექტი შესახებ იმისა, რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული დიდის სარგებლით ფულის გამსესხებელთა წინააღმდეგ.

**ბერლინი.** იმპერატორის ალექსანდრეს სახელის გვარდიის პოლკმა შეუკვეთა მხატვარს დიდი სურათი მემკვიდრე ცესარევიჩისთვის მისართმევად, სახსოვრად იმ დღისა, როცა, მისი უმაღლესობა უკანასკნელად ბერლინს ბრძანდებოდა. გამოხატული იქნება მთელი პოლკი ყაზარმის ეზოში, რომელიც შემკობილ იქნება რუსეთისა და გერმანიის ყვავილებით. ამ სურათს მემკვიდრე ცესარევიჩს პოლკის დეპუტაცია მიართმევს.

**კოპენჰაგენი.** დეპუტაციამ დანიის საზოგადოებისამ რომელიც ომს უარსა-ჰყოფს და მშვიდობიანობის მომხრეა, დღეს მეფეს ადრესი მიართვა. ადრესზედ 234,118 კაცს უწერია ხელი. მეფემ დეპუტაციას გამოუცხადა, სრულიად თანაუგრძნობთ და მსურს, რომ ამიერიდგან ომი აღარ იყოს და სახელმწიფოთა შორის ყოველ გვარი უთანხმოება მედიატორეთა სამართალით გადაწყდეს ხოლმეო, მაგრამ ამ სურვილის განხორციელება ფრიად ძნელ საქმედ მიმაჩნიაო. „ამიტომაო, დასძინა მეფემ, ამ საქმეში მეთაურობას მე ვერ ვიკისრებ, და თუ ამ საქმეში რომელსამე მძლავრმა სახელმწიფომ იკისრა მეთაურობა, როგორც თვით მე, ისე დანიის მთავრობაც უეჭველად მივემხრობითო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7,_{57}$ | $7,_{60}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | $1,_{06}$ | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $240^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $221^1/_2$ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | $99^3/_8$ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $195^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/₀. . . . . . | — ,, | 102 | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | — ,, | 102 | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | — ,, | — ,, |

## „ივერიის“ ფოსტა

**ბ-ნი ან—ლს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მუკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში,

კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

---

## ნიხრი

1892 წ. 1 დეკემბრიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | 1 გირ. | | | 5 | კ. |
| წითელი „ | 1-ის ხარისხ. | | „ | 4 | „ |
| „ „ | 2 „ | „ | „ | 3½ | |
| „ „ | 3 „ | „ | „ | 3 | „ |
| თონ. წით. პურ. | 1 ხარ. | | „ | 5 | კ. |
| „ „ „ | 2 | | „ | 4 | „ |
| „ „ „ | 3 | | „ | 3½ | |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. | 1 გ. | | | 7 | კ. |
| მე-2 „ | „ | „ | „ | 5 | „ |
| მე-3 „ | „ | „ | „ | 4 | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | | | | 7 | კ. |
| სუკი | — | — | — | 12 | „ |
| ცხვრის ხორცი | — | — | — | 7 | „ |

---


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—30)

---

## თესლეულობით ვაჭრობა

გ. გ. ლარმესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მიჰყიდე

## ახალი თესლეულობა

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

(15—13)

---

მაღაზიები არის ს.-პეტერბურგში—С.-ПЕТЕРБУРГЪ, на углу Малой Морской и Гороховой ул., д. № 13—8.

1877 წ. 1886 წ. 1882 წ.

## უმთავრესი ქარხანა
## სასმელებისა
### მის იმპერატორებითის უდიდებულესობის სასახლის იჯარადარი,
# პეტრე არსენის ძე სმირნოვი.
### ჩუგუნის ხიდთან, მოსკოვში.
У чугуннаго моста, въ Москвѣ.

ტელეფონი № 227.

პრეის-კურანტი

| № | ყირიმული | ფასი მ. | ფასი კ. |
|---|---|---|---|
| | **წითელი** | | |
| 165 | სუფრის არაყი . . | — | 60 |
| 198 | ბორდო . . . . . | — | 75 |
| 166 | ლაფიტი. . . . . | 1 | — |
| 197 | იგივე . . . . . . | 1 | 25 |
| | **ყირიმული** | | |
| | **თეთრი** | | |
| 163 | სუფრის არააყი . . | — | 50 |
| 196 | იგივე . . . . . . | — | 60 |
| 159 | სოტერნი . . . . | — | 75 |
| 174 | რისლინგი . . . . | 1 | — |
| | **დონისა** | | |
| 229 | წითელი . . . . . | — | 50 |
| 230 | თეთრი . . . . . | — | 50 |
| | **დარუბანდისა** | | |
| 200 | წითელი . . . . . | — | 50 |
| 158 | თეთრი . . . . . . | — | 50 |

ვსთხოვთ ჩვენს მუშტრებს ყურადღება მიაქციონ ჩვენს ნაწარმოებს და იმედი გვაქვს, რომ მოეწონებათ:

1, მწარე ხილის და ბალახის არაყი, ახალ ხილზე დაყენებული არაყი, ნალივკა, ალლაშ, ქუმელ და სხვა რუსული ლიკორები.

ახლად გაკეთებულია წარსულ 1892 წ. მოკრეფილ ხილისაგან კარგის გემოსი დი ღირსებისა, როგორც მომზადებული გვქონდა პარიჟის გამოფენისათვის 1889 წელს:

მჟნაკისა { № 30 გრაფინებით. № 23 დიდ ბოთლებით.

მჟნავის ესსენცია № 16 შამპანის ბოთლით.

ბალახზე დაყენებული სუფრის არაყი:

რკოსი მწარე № 19
ბალახის ესსენცია № 19
ქინაქინა № 19
აბზინდისა მწარე № 19
} შამპანიის ბოთლებით.

**ზუბროვკა** № 19 დოქობით და ხელადობით.

**კოლინჯანი** (კალგან) № 33 შავ ბოთლებში.

ინგლისური მწარე № 20 თეთრი და ფერადი.

ნარინჯის ესენცია № 19 ხელადით.

**ფორთოხალისა**, მწარე **№ 19**.

2, **სპირტი**, **№ 28** სიმაგრით **95%**.

3, **სუფრის** არაყი { № 40, № 32 № 20, № 31 და № 21.

ტელეფონი № 227.

პრეის-კურანტი

| № | ბესარაბიისა | ფასი მ. | ფასი კ. |
|---|---|---|---|
| | **წითელი** | | |
| 112 | სუფრის არაყი . . | — | 45 |
| 113 | იგივე . . . . . . | — | 60 |
| 51 | ბორდო . . . . . | — | 75 |
| 231 | ლაფიტი. . . . . | 1 | — |
| | **ბესარაბიისა** | | |
| | **თეთრი** | | |
| 232 | სუფრის არაყი . . | — | 50 |
| 233 | იგივე . . . . . . | — | 75 |
| | **ამიერ-კავკასიისა** | | |
| 150 | სუფრის არაყი . . | — | 45 |
| 172 | მატრასია . . . . | — | 50 |
| 190 | გურჯაანი . . . . | — | 75 |
| 191 | ბილუსტონ . . . | — | 85 |
| 192 | ჩივანდი . . . . . | — | 70 |
| 194 | მესარი . . . . . | — | 70 |
| 199 | კახური . . . . . | 1 | — |

4, რუსული ჭაჭის არაყი,

დიდის ხნის დამზადებული, 5—6 წლამდე.

გვაქვს აგრეთვე პირდაპირ საზღვარ გარეთიდგან ჩვენ მიერ დაკვეთილი საუკეთესო სასმელი:

ბორდო, ბურგუნდიისა, ხერესი, მადერა, პორტ-ვეინი და სხვა.

ისყიდება ყველა ღვინისა და არაყის სავაჭროებში, რესტორანებში და სასტუმროებში.

პრეის-კურანტი მსურველს სასწრაფოდ გაეგზავნება

შენიშვნა. რადგანაც ჩვენის ნაწარმოების მაგიერ სხვასა ჰყიდიან ბევრს ადგილს **სწორედ იმისთანა ჭურჭლით, ეტიკეტით და ნომრით**, როგორც ჩვენს ნაწარმოებსა აქვს, ამისათვის ვსთხოვთ ჩვენს მუშტარს, როცა იმ სასმელს ყიდულობდეს, რომელსაც № 40, 32, 20, 31 და 21 აწერია, „ჩვენის ქარხნის ბეჭედი“ გასინჯოს და წარწერა **ეტიკეტზე და პროპკებზედ**; ხოლო სასტუმროებში უნდა მოითხოვოთ: „**პეტრე სმირნოვის ესა და ეს №-თქო**

ჩვენის ფირმის ეტიკეტებს და ბეჭდებს სამი სახელმწიფო ღერბი უნდა ჰქონდეს 1877, 1882 და 1886 წ.

მაღაზიები არის ნიჟნი-ნოვგოროდში—НИЖНІЙ-НОВГОРОДЪ, на Нижнемъ Базарѣ противъ Волжско-Камскаго банка.


Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Марта 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**